შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 16415

23/05/2019

„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის, საბაჟო და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“.

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“-„თ“ ქვეპუნქტები:

„ვ) „გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმისა და გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხის აღიარების შესახებ“ განცხადება - დანართი №7;

ზ) საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში მედიაციის წესი - დანართი №8;

თ) მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) განხორციელების შედეგებზე შედგენილი ოქმის პროექტთან დაკავშირებით შეტყობინების ფორმა - დანართი №9.“.

გ) დანართი №7-ის შემდეგ დაემატოს დანართი №8 და დანართი №9 თანდართული რედაქციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში მედიაციის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 14 იანვრის №423 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ლაშქარაძე

სამსახურის უფროსი

REVENUE SERVICE

Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.05.23 15:47:30 +04'00'